ხელშეკრულება N 1

(კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2015 წ.

ერთი მხრივ, სსიპ [illegible] საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის/დირექტორის მ/შ [illegible] სახით და მეორე მხრივ, სსიპ - **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში „მიმწოდებელი“), **წარმოდგენილი ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის - ნატალი ქორიძის სახით,** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის **№19/ნ ბრძანების 1.8 პუნქტის საფუძველზე**, გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში ჩართული სკოლის შიდა ქსელის, კომპიუტერული ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობების გამართული ფუნქციონირებისათვის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის მიწოდება. მომსახურება ხორციელდება 30-მდე პერსონალურ კომპიუტერზე (კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები - CPV: 72500000).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

<u>1. შემსყიდველი ვალდებულია:</u>

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ასევე, უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობებისა და სკოლის შიდა ქსელთან მიმწოდებლის კომპიუტერული მხარდაჭერის სპეციალისტის შეუფერხებელი დაშვება.

1.2. კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობებისა და შიდა ქსელის მუშაობაში ხარვეზის წარმოქმნისას ოპერატიულად აცნობოს ამის თაობაზე მიმწოდებელს, **ცხელ ხაზზე** (+995 577 66 35 65) ოპერატორისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

1.4. მიმწოდებლის კომპიუტერული მხარდაჭერის [illegible] მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არა[illegible] შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებლს აღნიშნულის შესახებ.

<u>2. შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>

მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრუ[illegible] ნაკისრი [illegible] დროული და ხარისხიანი შესრულება.

<u>3. მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

3.1. კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერი[illegible] მო[illegible] ლობებისა [illegible] შიდა ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შესაბამის ინციდენტებზე რ[illegible] და შემდგომ[illegible] ტორინგი, მათ შორის:

3.1.1 კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტ[illegible] ჭერა (ო[illegible] ული სისტემისა და სხვა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირება, პრობლემებ[illegible] და აღმოფხვრა, პერიფერიული აპარატურის კომპიუტერებთან მიერთება და გამართვა);

3.1.2 საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციისათვის კონსულტაციის გაწევა ტექნიკის (კომპიუტერის სათადარიგო/სახარჯო ნაწილების, პერიფერიული მოწყობილობების და სხვ.) შესყიდვასთან დაკავშირებით.

3.2. უზრუნველყოს შემსყიდველთან კომპიუტერული მხარდაჭერის სპეციალისტის გამოცხადება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ თვეში 4 ჯერ მისვლისა, გარდა არდადეგების, სკოლის გამოსაშვები გამოცდების პერიოდისა და ბუნებრივი კლიმატური პირობებით გამოწვეული უამინდობისა.

<u>4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>

4.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება;

4.2. მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაუფორმებლობის შემთხვევაში, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის სისტემაში არსებული მონაცემებით და ამის შესაბამისად მოითხოვოს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2280.00 (ათას ორასოთხმოცი და 00 თეთრი) ლარს.
2. მომსახურების მიწოდების საფასური შეადგენს თვეში 190 (ასოთხმოცდაათი) ლარს.
3. შემსყიდველმა მომსახურების საფასური უნდა გადაუხადოს მიმწოდებელს **უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით** ყოველი საანგარიშო თვის **28 რიცხვამდე**, წინამდებარე <u>ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.</u>
4. მიწოდებული მომსახურების თაობაზე მხარეებს შორის დგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. მისი გაუფორმებლობის შემთხვევაში, გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის მონაცემებზე დაყრდნობით.